

ქალაქ ქუთაისში, კ.გამსახურდიას ქუჩა N18 საცხოვრებელი სახლის
N53 ბინაზე, მოქალაქე თამაზი გოგნაძისათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა კ.გამსახურდიას ქუჩა N18 საცხოვრებელი სახლის N53 ბინაში მცხოვრები მოქალაქე თამაზი გოგნაძის განცხადება /2014 წლის 20.03 Nგ-1859/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, კ.გამსახურდიას ქუჩა N18 საცხოვრებელი სახლის N53 ბინა/, საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის N189 დადგენილების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, კ.გამსახურდიას ქუჩა N18 საცხოვრებელი სახლის N53 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე თამაზი გოგნაძეს /პირადი N60001028194/.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვისა და პრივატიზების სამსახურმა /ბ.ცქიფურიშვილი/, ქალაქ ქუთაისში, კ.გამსახურდიას ქუჩა N18 საცხოვრებელი სახლის N53 ბინაზე, საერთო ფართობი 46,10 კვ.მ, /საცხოვრებელი ფართობი 25,00 კვ.მ, დამხმარე ფართობი 21,10 კვ.მ./ მოქალაქე თამაზი გოგნაძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ.ქავთარაძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერის
მოვალეობის შემსრულებელი

შ.მურღულია